F1294
1921

ხელნაწერის უფლებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

№ 3. 15 ივლისი, 1921 წელი. № 3.

ბოლშევიკები საქართველოში.

II.

საქართველოს „გაკომუნისტების“ აზრი ყველამ კარგათ გაიგო, რეაქციონერებმაც, რომელნიც სიხარულით შეეგებენ ბოლშევიკების იარაღის წარმატებას, როგორც დიდი რუსეთის აღდგენისაკენ მიმართულ ნაბიჯს, და მოსკოვმაც, რომელიც ყოველი საშვალებით ცდილობს ამ იმპერიალისტური აქტის გამართლებას. მხოლოდ ქართველი კომუნისტების თავხედობას და მათ უკან ათოხარიკებულ ბ. თედო ღლონტის და კომპ. უგნურებას შეუძლია თებერვლის ამბები რევოლიუციურ აქტათ გამოიყვანოს.

F8349

მაგრამ წინააღმდეგ მიხა ცხაკაიას გონება აბნეულ განცხადებისა თითქოს ჩვენში აჯანყება ყოფილიყოს, ადგილობრივი ბოლშევიკები ვერ ფარავენ იმას, რომ ისინი მხოლოდ უცხო იარაღის შემწეობით შემოვიდენ საქართველოში და თავის გასამართლებლათ შექმნეს კიდეც თავდასხმის ფილოსოფია, რომლის შინაარსი ასე გამოხატეს:

„რუსეთის წითელი კომუნისტური ჯარი, ეს ჩვენი კლასობრივი ამხანაგები ჩვენ დაეხმარიეთ ჩვენს შინაურ კლასობრივ ბრძოლაში და საქართველოს ანტანტის ბრჭყალებიდან გასანთავისუფლებად იმ დროს, როცა მენშევიკები გარეშე და შინაურ ძალებით საქართველოს მშრომელ ხალხს მუხრუჭს უჭერდა, მეზობელ პროლეტარულ (!) სახელმწიფოებს საფრთხეს უმზადებდა. ისინი იქნებიან აქ მანამდი, სანამ არ შეექმნით ჩვენს, საქართველოს კომუნისტურ წითელ ჯარს დ არ გავტეხთ ჩვენი მტრების ყოველივე ფიქრს — ოცნებას ძველის აღდგენა-განმეორების შესახებ“. (კომ. № 51. 5 მაისი).

გარდა საქართველოს მთავრობაზე ცილის წამებისა, აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეს ვაჟბატონები მოსულან თურმე საქართველოს გასათავისუფლებლად, და მისი დამოუკიდებლობის გასამტკიცებლათ.

ქართველი კომუნისტები დამოუკიდებლობის დამცველის როლში!

და იგიც უცხო ჯარის საშვალებით!

გაგონილა ამაზე მეტი უტიფრობა?

ვის გაუგონია უცხო ჯარით დაცვა დამოუკიდებლობის და ისიც ხალხის წინააღმდეგ?

მაგრამ ესმის კი ეს ამ არამკითხე მაცხოვნეებს?

ან იციან მათ რა არის დამოუკიდებლობა?

რასაკვირველია არა. მაშ ავუხსნათ.

დამოუკიდებლობის პირველი და აუცილებელი თვისება ისაა, რომ იგი ემყარება ხალხის ნების ყოფას, მის შინაგან ძალებს, და ამ ძალთა ურთიერთობის ნიადაგზე აშენებს ერის სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ არსებობის ფორმას და ასხამს ამ ფორმაში თავის განსაკუთრებულ შინაარსს. თუ ერში მუშათა დემოკრატია გეგემონობს და გამგებლობს მისი წყობილებაც სოციალ-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლისტურია, თუ მაღალი კლასები ახერხებენ თავის ნება-სურვილის მთელ ერისათვის თავზე მოხვევას — იგი ბურჟუაზიული ან ფეოდალურია. ყოველ შემთხვევაში ბრძოლა სწარმოებს საზოგადოების, ერის შიგნი და ბრძოლის ბედს სწყვეტს შინაგან ძალთა შეხლა-შემოხლა ე. ი. აშკარათ და პირდაპირ წარმოებული კლასობრივი ბრძოლა.

სულ სხვაა როცა ამ სფეროში შემოიჭრება გარეშე ძალა, სულ ერთია მოწვეული იქნება ის შიგნიდან, თუ თავის ნებით მოსული. მაშინ დამოუკიდებლობა ფიქციათ იქცევა და ერის გამგებლობა რეალურათ ამ გარეშე ძალის ხელში გადადის. საზოგადოებრივ ენაზე ასეთ ძალის შემოყვანას ეწოდება მოღალატეობა. და ამ მოღალატეობას ჩადიოდენ ყოველთვის უკიდურესი რეაქციონური წრეები. ძველათ საქართველოში ასეთი ბოროტება ხშირათ ჩაუდენიათ განდევნილ ფეოდალებს და ტახტის მაძიებლებს. საფრანგეთის რევოლიუციაში ეს როლი უცხო ძალის წინამძღოლობისა იკისრეს გადახვეწილმა გრაფებმა, რუსეთში დენიკინ-ვრანგელმა, საქართველოში ბოლშევიკებმა; ამით ეს უკანასკნელნი აშკარათ გადაბარგდენ რეაქციონურ ბანაკში და ისტორიაშიც ამ სამარცხვინო სახელით გადავლენ. მათი ისტორია ამიერიდან თავის ქვეყნის გაყიდვის ისტორიაა.

არიან გულუბრყვილონი, უკრო მეტად კი მოსყიდულნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საქართველოზე თავდასხმა რევოლიუციური ომის წარმოება იყო. მართალია ეს?

ჩვენ ვიცით, რევოლიუციური ომები, რევოლიუციური თავდასხმანი, რომელთა მიზანი იყო ერთა განთავისუფლება შინაურ ტირანიისგან. ჩვენ ვიცით ცნობილი ლოზუნგი: „ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს". მაგრამ რა აქვს საერთო მოსკოვის თავაშვებულ იმპერიალიზმს ამ რევოლიუციურ ლოზუნგთან?

რასაკვირველია არაფერი. პირიქით იგი სრული მისი წინააღმდეგობაა. მართლაც საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ისტორია ერთი სანიმუშო ილიუსტრაციაა დემოკრატიული და რევოლიუციური შემოქმედების. იგი აღმოცენდა რევოლიუციის ქარცეცხლში, როგორც ერთი უდიდესი და უაღრესი დამცველი რევოლიუციის მონაპოვარის, თავისუფლების და დემოკრატიზმის; იგი თვით იყო განხორციელება რევოლიუციის ერთი უდიდესი ლოზუნგის: ერთა თვითგამორკვევის.

და როგორც ნაყოფი რევოლიუციის ის არც ერთხელ არ გადალობებია მის წინმსვლელობას. პირიქით მან მისცა ქართველ რევოლიუციურ საზოგადოებრივობას გზა და საშვალება თავის შემოქმედებითი ენერგიის და უნარის გამოჩენის. და რადგან ამ საზოგადოებრივობას გაგემონობდა მუშათა კლასი, მან გადაშალა პირველ ყოვლისა რევოლიუციური შემოქმედება ამ კლასის. ამით ის შეეთვისა რევოლიუციას და შეითვისა იგი, ამით ის შეესისხლხორცა მუშათა კლასს, და ეს უკანასკნელი შეიქნა მისი უძლიერესი დამცველი და მოტრფიალე.

და მისი სამი წლის ისტორიას აზის უტყუარი ბეჭედი რევოლიუციონერის და სოციალისტის, ე. ი. ბეჭედი მუშათა კლასის. თვითეული ეტაპი მისი არსების — იყო ეტაპი რევოლიუციის განმტკიცების და გამაგრების.

გადავავლოთ თვალი ამ ისტორიას.

26 მაისის აქტი (1918 წლის) გამოცხადდა ოსმალეთის საშინელი საფრთხის თავიდან ასაცდენათ. და ეს მიზანი კიდეც მიღწეულ იქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის სრულიად უჯაროთ და უპატრონოთ მიტოვებული რევოლიუციური საქართველო გადარჩა იმ ხანათ მტრის ურდოების შემოსევას და რევოლიუცია განადგურებას. შემდეგში ამ დამოუკიდებლობის ნიადაგზე საშინელ და დაუცხრომელ ბრძოლის პროცესში, საქართველომ შეირჩინა ყოველივე ის, რაც მარტის რევოლიუციით იყო მოპოვებული, და რაც ბოლშევიზმის ანარქიამ ჩაყლაპა რუსეთში: თავისუფლება, სოციალური უფლებები, მუშათა კლასის გეგემონია და დემოკრატიული პრინციპები; სამი წლის განმავლობაში საქართველომ გაატარა შინ მრავალი საყურადღებო რეფორმა, მუშათა კანონმდებლობა, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის განსაზოგადოება, აგრარული რეფორმა და სხვა. შექმნა სახელმწიფო აპარატი დაყრდნობილი ხალხის თვითმოქმედებაზე და დემოკრატიულ არჩევნებზე; დაიფარა თავი როგორც რეაქციის, ისე კომუნისტურ ანარქიისაგან. მან შესძლო შინ სამოქალაქო ომის თავიდან აცდენა და საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ ნიადაგზე მოწესრიგება. ერთი სიტყვით რევოლიუციის მონაცემი მან მძლავრ და მტკიცე ფორმებში ჩამოაყალიბა. ერი შეიქნა თვითმართველი და ნამდვილი დამოუკიდებელი მუშათა კლასის საყოველთაოთ ცნობილ გეგემონიის ქვეშ.

სამი წელი საქართველოს დამოუკიდებლობის იყო სამი წელი ეროვნული მასშტაბით წარმოებული რევოლიუციის, რომელიც თავის გზით მიდიოდა, თავის მეთოდებით იბრძოდა. და ეს გზა პრინციპიალურად და რადიკალურად განსხვავდებოდა რუსეთის რევოლიუციის გზისაგან. ეს სამი წელი იყო განსახიერება საქართველოს დამოუკიდებელ რევოლიუციის, რომელიც საქართველოს ნიადაგზე, მის შინაგან სოციალურ საფუძველზე და მის ძალთა განწყობილებაზე იყო დაყრდნობილი.

მას ქონდა თავისი სახე და ეს იყო სახე ქართველი რევოლიუციური დემოკრატიის. სწორეთ ამიტომ ამ სამი წლის განმავლობაში მან გამოამზეურა ერის ყველა სასიცოცხლო ძალები, საძირკველი გაუსკვნა ქართულ ხელოვნებას, ქართულ მეცნიერებას, ქართულ აზრსა და კულტურულ შემოქმედებას.

იგი გახდა ამით ეროვნულ რევოლიუციათ, მისი საერთო აღორძინების ხანათ და დასაბამათ.

დიახ, 1918 წლის 26 მაისის აქტათ დაიწყო დიადი, ისტორიული ხანა საქართველოს ერის ცხოვრებაში. აი ამით იყო იგი ძლიერი, ამით იყო იგი მიმზიდველი და დაუძლეველი.

ჩვენ გვიკიჟინებენ ამ ხანაში ევროპის სახელმწიფოთა ჯარების საქართველოში ყოფნას. ამაში ხედავენ ჩვენ მიერ დამოუკიდებლობის იდეის შელახვას.

მერე მართალია ეს?

რასაკვირველია არა.

პირველი ის, რომ გარეშე ძალა არასოდეს არ ყოფილა დასაყრდნობი ჩვენი მთავრობის. პირიქით, იგი იყო საგანი მისი ბრძოლის. არც გერმანელები, არც ინგლისელები არ ყოფილა მოწვეული შინაურ ძალებზე გასაბატონებლად და ასე ხალხის დასამონავებლად.

არც ერთხელ ამ ჯარის შემოსვლას არ გადაულუნავს საქართველოს მართველობის ხაზი მათ სასარგებლოთ და არ გაუხრია პოლიტიკური გეზი საქართველოსი—მისი ნეიტრალობა გარეთ და მისი დემოკრატიზმი შიგნით. ამის მაგალითია თუნდა დენიკინ-ბოლშევიკთა ომებში ჩაურევლობა.

საქართველოს ხალხმა და მთავრობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსულოვანი ბრძოლით დაიცვეს შემოსულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ჯარების წინააღმდეგ საქართველოს სუვერენობა და მისი თავისუფლება.

ჩვენში შემოსული სახელმწიფონი: გერმანია, ინგლისი მაშინ ჩვენ არ გვცნობდენ, მაგრამ ჩვენი ერის სიმაგრემ აიძულა იგინი ბოლოს აღეარებინათ ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც ფაქტიურათ, ისე იურიდიულათ. ამ რიგათ დაცულ იქნა დამოუკიდებლობა და განმტკიცებულ იქნა იგი.

დღეს მას ფლობს „წითელი ჯარი" მოსკოვის, იმ მოსკოვის, რომელმაც მართალია პირველმა იცნო იურიდიულათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ პირველმავე შელახა მუხანათურათ, უხეშათ და ურცხვათ თავის სიტყვა და თავის დაპირებანი. კიდევ მეტი, მან იარაღით დაანგრია სამი წლის რევოლიუციური ნამუშევარის შედეგები და გააქარწყლა ნაყოფი მთელი ერის, მთელი დემოკრატიის შემოქმედების, ერთი სიტყვით ჩაიდინა ის, რაც არ ჩაუდენია არც გერმანიის კაიზერის ჯარს, არც ინგლისის ფერადკანიანებს.

ბურჟუაზიული იმპერიალისტები ამ მხრივ ბევრათ უფრო მეტი პატივისმცემელნი აღმოჩნდენ ერის უფლების და სუვერენობის, ვინემ მოსკოვის კომუნისტ-იმპერიალისტები და მათი ქართველი ადეპტები.

მაშ ასე. ბოლშევიკებმა დაამხვეს დამოუკიდებლობა საქართველოსი,—ქართველმა კომუნისტებმა თავის სიბეკით და მოღალატეობით, მოსკოვისამ კი ნაციონალისტობით და იმპერიალისტობით.

საქართველო „მოკავშირე" გახდა საბჭოთა რუსეთის, ბოლშევიკების ტერმინი რომ ვიხმაროთ, ჩვენ კი ვამბობთ, რომ იგი გადაება რუსეთს. ამით საქართველოს რევოლიუციის მსვლელობა შეჩერდა, მისი თავისებური ხასიათი, და თვისებები დაიჩრდილა, მოსკოვის ანარქიის ზღვამ ჩაითრია ნავი ჩვენი დემოკრატიულ—რევოლიუციური წესიერების და შთანთქმას უპირებს.

როგორ შეიძლება მისი დახსნა ამ საშინელი ბედისაგან?

კავკასიელ ხალხთა შეთანხმება.

მიმდინარე წლის 10 ~~ივლისს~~ ივლისს ხელი მოაწერეს კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებმა შეთანხმებას, რომლის ტექსტი ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ „თავ. საქართ." მე-2 ნომერში.

ამ შეთანხმების მონაწილენი არიან მთიელების, ადერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკები. ეს შეთანხმება ნაკარნახევია იმ შეგნებით, რომ კავკასიის ხალხთ აკავშირებს ერთმანეთს შორის როგორც საერთო ინტერესები და მიზნები, ისე ხანგრძლივი მეზობლობა და საერთო ისტორიული ბედი.

ჩვენ არ შეგვიძლია მხურვალეთ არ მივესალმოთ ამ ნაბიჯს. იგი ნაყოფია დიდი პოლიტიკური და პსიხოლოგიური გარდატეხის, რომელიც უკანასკნელ ხანებში მოხდა კავკასიის ხალხთა ხელმძღვანელ წრეებში. კავკასიის ნორჩი რესპუბლიკები, სამწუხაროთ, დღემდი ცალცალკე მოქმედებდენ და სოლიდარული და შეთანხმებული მუშაობის მაგიერ ერთმანეთს შორის ქაშპობდენ, რომელიც დროგამოშვებით სამხედრო კონფლიქტებითაც კი გვირგვინდებოდა. ამით იგებდენ, რასაკვირველია, ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მტრები და არა კავკასიის ხალხები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არა ერთხელ სცადა ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო მოღებოდა. მას არა ერთი და ორი ნაბიჯი გადაუდგამს მეზობლებთან შეთანხმების ჩამოსაგდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ. მაგრამ დღემდის ასეთი ცდა ამაოთ რჩებოდა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი მეზობლების ორიენტაცია კიდევ არ იყო გამორკვეული და მათი პოლიტიკური აზროვნება ჩამოყალიბებული. მეზობლებში ძლიერი იყო მისწრაფება გარეშე ძალის დახმარებით საკუთარი საქმეების გამოკეთებისაკენ მეზობელთა ხარჯზე და მათ საზიანოთ. არ იყო გამტკიცებული ის შეგნება, რომ კავკასიის ხალხთ თითონვე შეუძლიათ გამოსჭედონ თავისი ბედი და ერთი მეორის ინტერესების გაგებით და შეთანხმებით გაუმკლავდენ საერთო მტრებს, რომლებიც მუდამ ელტოდენ კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის მოსპობას. ამ ქიშპობითა და შეურიგებლობით აიხსნება სხვათა შორის ის გარემოება, რომ დღეს კავკასიის ხალხნი გმინავენ უცხო ძალის ბატონობის მძიმე უღელ ქვეშ. დღეს ყველასათვის აშკარაა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა, რომელიც ჩვენში ფაქტიურათ აწარმოებს ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას, ისარგებლა კავკასიის ხალხთა დაქაქსვით და ადვილათ გაიკაფა გზა იქ, სადაც მას უნდა შეხვედროდა უკანასკნელთა გაერთიანებული ძალა.

მაგრამ ნათქვამია — ზოგი ჭირი მარგებელიაო. დღეს წარსული ცხოვრების მწარე გაკვეთილებმა ბევრი დაარწმუნა იმაში, რომ კავკასიის ხალხთ არ შეუძლიათ ისარგებლონ დამოუკიდებლობით დ შეირჩინონ ეროვნული თავისუფლება, თუ არ იქნება მათ შორის მჭიდრო პოლიტიკური კავშირი და სურვილი ურთიერთის მისწრაფებათა გაგებისა და საერთო მტრისა თუ მტრების წინააღმდეგ საერთო ძალღონით გამკლავებისა.

დეკლარაცია, რომლითაც გამოვიდენ კავკასიის ხალხთა კანონიერი წარმომადგენელნი, უტყუარი საბუთია იმის, რომ კავკასიის რესპუბლიკათა შეთანხმების და სოლიდარული მოქმედების საქმეში უდიდესი დაბრკოლება უკვე გადალახულია. ვამბობთ უდიდესი, ვინაიდან ეს არ ნიშნავს იმას, თითქო ყველა დაბრკოლება და გაუგებრობა საბოლოოთ ძლეული იყოს და შეთანხმების და სოლიდარობის იდეიას ამიერიდან არავითარი საფრთხე არ მოელოდეს. ძლიერ ჭრელია კავკასიის ცხოვრების პირობები და მეტისმეტად რთულია აქ დახლართული კვანძი, რომ მისი გახსნა ერთი დაკვრით შეიძლებოდეს. მაგრამ სხვა გზა და სხვა საშვალება, ვინემ ნაჩვენებია დეკლარაციაში, არ მოიპოვება. თუ კავკასიის ხალხთ ნამდვილათ სურთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა, თუ მართლა არ უნდათ მათ მსხვერპლი გახდენ თანამედროვე იმპერიალიზმის მისწრაფების, ისინი უსათუოდ უნდა შეთანხმდენ და შეადგინონ ერთი ძლიერი ფრონტი, რომელიც წინ აღუდგება ყველა მტრულ ძალებს, საიდანაც ან რა მიზნითაც უნდა მოდიოდენ ეს უკანასკნელნი.

საერთაშორისო ომმა და შემდეგ რევოლიუციამ ღრმა კვალი გაავლო ხალხთა ცხოვრებაში; მან გააღრმავა და გააძლიერა ცალკე ეროვნებათა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისაკენ. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ კავკასიის ხალხებმა პირველი შესაძლებლობისთანავე აღიარეს თავისი თავი დამოუკიდებლათ და არა მცირედი მსხვერპლი მოუტანეს მის დაცვას. ის ფაქტი, რომ კავკასია ამ ჟამათ განიცდის უცხო საოკუპაციო ძალის ბატონობას, არა თუ ანელებს ამ მისწრაფებას, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს მას და მიუცილებელ საჭიროებათ ხდის იმ

საშვალებათა გამონახვას, რომელიც ნებას მისცემს კავკასიის ხალხთ აღადგინონ თვისი დამოუკიდებლობა. ეს შეგნება ახასიათებს ამ ხალხთა როგორც ვიწრო ჯგუფებს ისე ფართო წრეებს. დღეს კავკასიაში არ არის ისეთი კუთხე, ისეთი ხალხი ან ტომი, რომელიც ძალუმათ არ მიისწრაფოდეს განთავისუფლებისაკენ. ასეთ პირობებში, თქმა არ უნდა, ოფიციალურ წრეების შეთანხმება, შესაფერ გამოძახილს პოებს კავკასიის ფართო დემოკრატიულ წრეებში.

მით უფრო სიამოვნებით შეხვდებიან მას, რომ იგი არ არის ნაყოფი წარმავალი დიპლომატიური კომბინაციის. მას საფუძვლათ უდევს საერთო სარგებლობა და ისეთი პრინციპები, რომლის უარისყოფა არ შეუძლია კავკასიაში მობინადრე არც ერთ ხალხს.

მართლაც, საკმარისია ზერელეთ გადაავლოთ თვალი შეთანხმების შინაარსს, რომ ამაში სავსებით დარწმუნდეთ.

ყოველგვარი დავა და უთანხმოება, რომელიც კავკასიის ხალხთა შორის არსებობს ან მომავალში გაჩდება, უნდა გადაწყდეს **სავალდებულო არბიტრაჟის საშვალებით.**

კავკასიის ხალხთა სოლიდარულ მეგობრობასა და კავშირს საფუძვლათ უნდა ედვას **„საერთო შეხედულებანი და საერთო ორიენტაცია საგარეო პოლიტიკაში“.**

აქედან შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა და თავის დაჭერა ისეთი ნაბიჯებისაგან, რომელიც მეორეს ზიანს მოუტანს.

კავკასიის რესპუბლიკათა არსებობას ემუქრებოდენ და მომავალშიაც დაემუქრებიან არა ერთი და ორი გარეშე მტერი. შეთანხმების მონაწილენი, ცალ-ცალკე აღებულნი, უძლური არიან გაუმკლავდენ მათ, მარა ერთად შეკავშირებულნი, ისინი საკმაო ძალას წარმოადგენენ თავდაცვისათვის.

აქედან გამომდინარეობს **სამხედრო თავდაცვითი კავშირის** აუცილებლობა, რომელიც აღიარებული და მიღებულია დეკლარაციაში.

საერთო ინტერესები მოითხოვენ ეკონომიურ აღორძინების საქმეში ერთი მეორისთვის ხელის შეწყობას და საერთოდ ისეთი ეკონომიური პოლიტიკის წარმოებას, რომელიც თითოეულ ერს საშვალებას მისცემს არსებობის, განვითარების და შინაური და უცხო ბაზრის გამოყენების. ეს კი იგულისხმებს ცალკე რესპუბლიკათა ეკონომიურ კარჩაკეტილობის მოსპობას და საქონლის თავისუფლათ ტრიალს. ეს არის იდეალი არა მარტო კავკასიის ხალხთა, არამედ ყველა ხალხთა პროგრესიულ ძალებისა.

პოლიტიკურ სფეროში შეთანხმებას აუცილებლათ უნდა მოყოლოდა შეთანხმება ეკონომიურ საკითხებში. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივაც უდიდესი ნაბიჯია გადადგმული. ისპობა **ყოველგვარი საბაჟო და სადამოჟნო დაბრკოლებანი საქონელის თავისუფალ ტრიალის საქმეში.**

დასასრულ, კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება შეთანხმებისა. უკანასკნელი არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. მისი ერთად-ერთი მიზანია კავკასიის რესპუბლიკათა თავდაცვა, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ის არავის ემუქრება, აგრესიული მიზნები მისთვის უცხო და მიუღებელია. პირიქით, ის მიზნათ ისახავს კეთილ-მეზობლური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან, ოსმალეთთან და სპარსეთთან, ხოლო პირველის (რუსეთის) ეკონომიურ ინტერესებს სრული დაკმაყოფილება მიეცეს კავკასიის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, ხსენებული შეთანხმება აგებულია თანამედროვე დემოკრატიულ პრინციპებზე, ემსახურება კავკასიის ხალხთა შორის მჭიდრო სოლიდარობის გაძლიერებას, მიზნათ ისახავს მათ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვასა და განმტკიცებას, ხოლო მეზობლებთან კეთილ-განწყობილებისა და მშვიდობიანობის დამყარებას.

ჩვენი მოვალეობაა დეკლარაციაში გამოთქმულ დებულებებს და პრინციპებს მალე ხორცი შევასხათ და სიტყვა საქმეთ ვაქციოთ.

კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებს და საზოგადოებრივ წრეებს, დღეიდან მართებთ იღონონ ყოველგვარი საშვალება, რათა მიღწეული შეთანხმება დაუბრკოლებლივ პოულობდეს თავის განხორციელებას პრაქტიკულ მოქმედებაში.

ნ. ჟორდანია გელგიაში.

ქვემოდ აწერილ ნოე ჟორდანიას მოგზაურობიდან ბელგიაში ქართველი ხალხი დაინახავს თუ რა თანაგრძნობით ეპყრობა საქართველოს ბედს ევროპის დემოკრატია და აგრეთვე მთავრობები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმაგალითოა ის აღფრთოვანებული და ძმური თანაგრძნობით აღსავსე მიღება, რომელიც ნ. ჟორდანიას ხვდა წილად ბელგიის უმთავრესს ქალაქებში, როგორც მუშათა სოციალისტურ და პროფესიონალურ წრეებში, აგრეთვე მოწინავე პრესისაგან. ნოეს ბრიუსელში ჩასვლის დღეს ბელგიის დედა ქალაქის თითქმის ყველა გაზეთებმა (როგორც სოციალისტურმა, ისე არა სოციალისტურმა) მოათავსეს მისი სურათი და წერილები საქართველოს დემოკრატიის და მისი ბელადის შესახებ. წერილების უმრავლესობაში გატარებულია ანალოგია საქართველოს ახლანდელ მდგომარეობისა და ბელგიის მდგომარეობის შორის მსოფლიო ომის დროს. და გამოთქმულია სრული იმედი, რომ საქართველოც ისე განთავისუფლდება უცხო უღლისაგან, როგორც ეს მოახერხა ბელგიის ხალხმა.

ნ. ჟ. ჩავიდა ბრიუსელში 13 ივნისს, მას სადგურზე შეეგებენ სოც. პარტიის დელეგაცია, ვან როს-ბრეკი, ჰიუსმანსი. ეკელერი, და გაზეთ „პეუპლ" (ხალხი) წარმომადგენელნი. ვანდერველდმა გაუგზავნა შესახვედრათ თავის წარმომადგენელი, რადგან თვითონ იმ დროს მთავრობის საგანგებო სხდომაზე იმყოფებოდა.

ნოეს ქონდა პირველ-ყოვლისა ხანგრძლივი აუდიენცია და მოლაპარაკება საქართველოს შესახებ მთავრობის თავმჯდომარესა და გარეშე საქმეთა მინისტრთან. ნ. ჟ. სრულიად კმაყოფილი დარჩა ამ მოლაპარაკებით და იმ დახმარებით, რომელიც აღუთქვეს მას ბელგიის მთავრობის სახელით.

მეორე დღეს ნ. ჟორდანია მივიდა სოც. პარტიის ც. კომ. სხდომაზე. მისი მისვლისთანავე ც. კ. შესწყვიტა სხდომა და ყველანი ფეხზე ამდგარი ოვაციებით შეხვდენ საქართველოს სოციალისტურ პარტიის და ქართველი ხალხის ბელადს. მას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ც. კ. სახელით ვანდერველდემ, რომელმაც გაიხსნია თავის მოგზაურობა საქართველოში და ის ღრმა პატივისცემა, რომლითაც ქართველი ხალხი ეპყრობოდა თავის ბელადს მათი იქ ყოფნის დროს, მოიგონა უკანასკნელი თვეების სამწუხარო ისტორია საქართველოსი და სთქვა: გაიხსენეთ, რომ სამი წლის წინეთ ბელგიაც უცხოელი ჩექმის ქვეშ იმყოფებოდა, მაშინ ჩვენც ისეთივე გადახვეწილები ვიყავით, როგორც თქვენ ხართ დღეს. მაშინ ჩვენ ხშირათ დაგვბადებია

იქვი, ვაი თუ 50 წლის ნამუშევარი სრულიად დაგვეკარგოს გერმანიის ოკუპაციის წყალობითო. მაგრამ შეხედეთ ახლა, რანი ვართ. დეე ეს მაგალითი იყოს თქვენი გამამხნევებელი და განმამტკიცებელი იმ რწმენის, რომ თქვენ სამართლიანათ გაიმარჯვებთ. ჩვენი პარტიის და პროფ. კავშირების 600,000 წევრის სახელით გიძღვნით ძმურ სალამს და გამოვთქვამთ იმედს, რომ ახლო მომავალში თქვენ შეძლება გექნესთ დაუბრუნდეთ თქვენს საყვარელ სამშობლოში. ძვირფასო ჟორდანია, კეთილშობილი, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოტრფიალე ერის წარმომადგენელო ნება მომეცით კიდევ ერთხელ მოგიძღვნათ ბელგიის მუშათა კლასის სიმპატია. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას". დამსწრეთ აღფრთოვანებული ტაშისცემით დაფარეს ვანდერველდეს მგრძნობიარე სიტყვები.

ნ. ჟორდანიამ მეტათ მგრძნობიარე სიტყვით უპასუხა, სადაც აღნიშნა, რომ ქართველი მუშები ძლიერ კარგათ იცნობენ ბელგიის სოც. პარტიას და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდენ მისი მთლიანი მოძრაობით და პრაქტიკული საქმიანობით. და თავის მხრივ საქართველოს მუშების და მთელი ერის სახელით უძღვნა მადლობა იმ თანაგრძნობის და მორალურ დახმარებისათვის, რომელსაც იღებდა და მიიღებს მათგან შემდეგშიაც საქართველოს ხალხი.

შემდეგ დღეებში პარტიამ და პროფეს. კავშირებმა მოაწყვეს ნ. ჟორდანიას სპეციალური შესახვედრი საღამო მუშათა სახლში; მთელი ვეებერთელა ზალა გაჭედილი იყო ხალხით. 5 საათზე სხდომა გაიხსნა დე-ბრიუკერის თავმჯდომარეობით. ნ. ჟორდანია პრეზიდიუმში იჯდა. მის გვერდით იყო ვანდერველდე, მუშა-მინისტრი, ვოტერი დ სოც. პარტიის [illegible] ვან [illegible]ბრეკი. მუშათა პარტიის სახელით მიესალმა ქართველი ხალხის წარმომადგენელს ვანდერველდე, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა: „ბელგია ვერ მოკლა მტრის დაპყრობამ, იგი დღეს მკვდრეთით აღმდგარია, არც საქართველო მომკვდარა, იგი ხვალ აღსდგება, (აღფრთოვანებული ტაშისცემამ მოიცვა დარბაზი). საქართველომ მიმართა ერთა ლიგას. ვნახოთ, იმ სახელმწიფოებისთვის და განსაკუთრებით ინგლისისთვის, რომლებმაც იცვნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს ცნობა იყო ცალიერი სიტყვა თუ რეალური სინამდვილე. მარა ჩვენ ბელგიელებსაც ბევრის გაკეთება შეგვიძლია საქართველოსთვის. და ჩვენ არ დავაკლებთ არრავითარ ცდას, ავამოძრავებთ საქართველოსთვის მთელ ჩვენ გავლენას განათლებულ კაცობრიობაზე, და ამ აზრით მე შემოვძახებ: გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს". (ხახგრძლივი, დაუსრულებელი ტაში).

ნოე ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა პარტიას და პროფ. კავშირებს ამ მხურვალე და გულითადი მიღებისათვის და მოკლეთ მოახსენა კრებას საქართველოს ისტორია: მისი დამოუკიდებლობის დღიდან და გადაუშალა სურათი საქართველოს დღევანდელი აოხრების და დანგრევის მოსკოვის იმპერიალისტების „წითელ" ველურებისაგან. დაბოლოს მიმართა ბელგიის მუშათა კლასს, რომ მან მორალური დახმარება გაუწიოს ქართველ ხალხს თავის წმინდა ბრძოლაში კომუნისტური დამპყრობელების წინააღმდეგ, მოითხოვოს, რომ მოსკოვმა გაიყვანოს თავის ჯარები და საშვალება მისცეს ქართველ ხალხს თავის ნების-ყოფის თავისუფლათ გამოთქმის. კრება დიდის ყურადღებით და სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაბული უსმენდა ნ. ჟორდანიას სიტყვას და დაუსრულებელი ოვაციით დააჯილდოვა მოხუცი მებრძოლი.

შემდეგ ილაპარაკა დებრიუკერმა, რომელმაც ბელგიის მუშათა სახელით განაცხადა, რომ ბელგიის მუშები საქართველოს საკითხს გაიხდიან თავის საკუთარ საქმეთ და მთელი თავის ძალღონით იმოქმედებენ მის აღსადგენათ. (ხანგრძლივი ტაშისცემა). ქართველ სოც.-დემდკრატების რეზოლიუცია თფილისში მიღებული გვიჩვენებს ჩვენ გზას, რომელსაც უნდა დავადგეთ: სამივე მუშათა ინტერნაციონალიდან უნდა შესდგეს საარბიტრაჟო კომისია, რომელსაც გადაეცემა საქართველოს საკითხის გადაჭრა... კრება ოვაციებით შეხვდა ამ წინადადებას. და იგი ერთსულოვნათ მიღებულ იქნა.

ამის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ბრიუსელიდან ნ. ჟორდანია მიიწვია ანტვერპენის სოც. ორგანიზაციამ. როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ ანტვერპენის მუშათა ორგანიზაციამ ნოე ჟორდანია უმაგალითო დიდებულათ მიიღო; არა ჩვეულებრივი სადღესასწაულო ხასიათი მიეღო ანტვ. მუშათა სახლს. ვებერთელა ზალაში ტევა არ იყო.

ზალაში ჟორდანიას შემოსვლას, რომელსაც მისდევდენ: ჰიუსმანსი, დებრიუკერი, ეკელერი და სხვა ცნობილი ამხანაგები, აღტაცებული ოვაციებით შეეგებენ, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ეკელერმა წარუდგინა დამსწრეთ ნ. ჟორდანია და მოკლეთ დაასურათა ბელგიის და საქართველოს ბედის მსგავსება.

როცა შემდეგ ნ. ჟორდანია წამოდგა სიტყვის სათქმელათ, მთელი დარბაზი ერთ ტაშისცემათ გადაიქცა. საქართველოს კატასტროფის სურათმა, რომელიც ნოემ დაუხატა მსმენელებს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. მისი სიტყვა ოვაციებით დასრულდა.

შემდეგ დებრიუკერმა მხატვრულათ და საუცხოოთ დაასურათა საქართველოს დემოკრატიული წყობილების თავისებურობანი, მისი ნამდვილი დემოკრატიული სახე, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვ. ბოლოს აღნიშნა ის საშინელი განცდა, რომელიც დაატყდა ქართველ დემოკრატიას რუსეთის „წითლების“ შემოსევით.

შემდეგ მრავალმა მუშა ორატორებმა ილაპარაკეს საქართველოს შესახებ და თავისი თანაგრძნობა გამოსთქვეს. საგანგებოთ მოწვეულმა ფ. ლასალლის სახელობის მუშათა გუნდმა შეასრულა მრავალი რევოლიუციური სიმღერები და მათ შორის ქართული ჰიმნი. ბელგიის პარტიის ცენტრალური ორგანოს საგანგებო კორესპოდენტი, ამ საღამოს აღწერას ასე ათავებს ტელეგრაფით გადაცემულ კორესპონდეციაში: „ანტვერპენის სოც. ფედერაცია იმედოვნებს, რომ ამხ. ჟორდანიას საუკეთესო მოგონება დარჩება ანტვერპენის ამხანაგების მიღებისაგან“.

ამავე დროს გაზეთებში მრავალი წერილები მოათავსეს საქართველოს შესახებ: დებრიუკერმა საგანგებო წერილი უძღვნა თფილისის სახ. თეატრში მიღებულ რეზოლიუციას. იგი სრულიად მხარს უჭერს საარბიტრო კომისიის დაარსებას და მოითხოვს მოსკოვისაგან საქართველოს განთავისუფლებას.

ბელგიის ცენტ. კომიტეტმა სპეციალურ სხდომაზე გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ზომები, რომელიც უნდა იქნეს მიღებული საქართველოს ხალხისთვის თავისუფლების დასაბრუნებლად.

ბელგიაში ნ. ჟორდანია ამ დღეებში ნამდვილი სახალხო გმირი იყო, რომელ-

ზედაც ყველა ლაპარაკობდა, რომლის მოსვლით ყველა საზოგადოებრივი წრეები დაინტერესებული იყო. მრავალმა საზოგადო მოღვაწემ ინახულა იგი და თავის სალამი გაუგზავნა დროებით დამონებულ საქართველოს. გაზეთები ისე შეეთვისენ მის სახელს, რომ ცნობებს მის შესახებ აწერდენ მხოლოდ ასე: „ნ. ჟორდანია ბელგიაში". ყველამ იცოდა ვინ არის ნ. ჟორდანია და რა მისია აქვს მას.

საერთო ბედის თანამოზიარე ბელგიის ხალხში საქართველომ იპოვა თავის საუკეთესო თანამგრძნობი და გულშემატკივარი. და ჩვენი მოხუცი ბელადის მოგზაურობის შემდეგ ეს თანაგრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

ბელგიიდან ნ. ჟორდანია გაემგზავრა ინგლისში. იქაურ ამბებზე შემდეგ. **დ.**

ინგლისის მუშათა პარტია.

22 ივნისს, ინგლისის მუშათა პარტიის (ლაბურპარტი) კონგრესზე დღიურ წესრიგში ერთ უმთავრეს საკითხათ იყო დასმული საკითხი საქართველოს დაპყრობის შესახებ. მომხსენებელათ გამოვიდა ამხ. ქალი სნოუდენი. აი მისი სიტყვა:

„ამხანაგებო. იმ საკითხზე, რომლის შესახებ მე მინდა მოგმართოთ, ორი აზრი არ შეიძლება; ამიტომ, არ მგონია, თუნდ ერთი ხმაც აღმოჩნდეს იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომლის დაცვა მე დამავალა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

ეს საკითხი სრულიად გარეშე დგას იმ უთანხმოებისაგან, რომელიც არსებობს სოციალისტებსა და კომუნისტებს შორის, რადგან არიან პრინციპები, რომელთაც ერთნაირათ აღიარებს ორივე მიმდინარეობა. და უფლება ერთა თვითგამორკვევისა — ერთი ასეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპთაგანია.

საქართველოს საკითხი. ჭეშმარიტი საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სოციალისტებს, შეუძლია თუ არა ინგლისის მუშათა კლასს დაუშვას ხალხის ნების დარღვევა შეიარაღებული ძალით და ხალხის მიერ თავისუფლად არჩეული მართველობის ფორმის გაუქმება დაპყრობის საშუალებით?

სამი წლის წინეთ ქართველმა ხალხმა გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა და თავისუფლათ აირჩია თავის მთავრობა. 80%-ზე მეტმა ამრჩეველმა ხმა მისცა სოციალისტებს და ამათგან შედგა სოციალისტური მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის. და აი ამ რესპუბლიკას ყოველ მხრიდან შემოესია მტრის ჯარები, მას თავს დაესხენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. შემოჭრილმა ჯარებმა დაანგრიეს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გააუქმეს ქვეყნის თავისუფლება და დაამყარეს ნაძალადევათ რევოლიუციურ კომიტეტების ხელისუფლება. მთავრობა, არჩეული ხალხის მიერ, იძულებული იყო მიეტოვებია თავის მიწა-წყალი. და აი აქ ამ ესტრადაზე ჩვენ-შორის დგან ნ. ჟორდანია, პირველი სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. (აპლოდისმენტები ნ. ჟორდანიასადმი). როგორც სოციალისტი ის მოვიდა ჩვენთან, რომ მორალური დახმარება გვთხოვოს თავის ხალხისათვის.

რას მოითხოვენ ჩვენგან ქართველი სოციალისტები? ისინი მოითხოვენ რომ შეიქმნას საერთაშორისო შერეული კომისია, რომელშიაც შევლენ სოციალისტები და კომუნისტები, და რომ ქართველ ხალხს მიეცეს საშვალება თავისუფლათ, ამ კომისიის ზედამხედველობის ქვეშ, გამოსთქვას რეფერენდუმის საშვალებით თავის ნებისყოფა, და აირჩიოს ესა თუ ის ფორმა მართველობისა.

F8349

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია ჩვენ არ დაუჭიროთ მხარი ქართველ ამხანაგების ასეთ მოთხოვნას?

არა. უფლება ქართველი ხალხის თვითგამორკვევისა ჩვენთვის ისეთივე სავალდებულოა, როგორც თვითგამორკვევა ირლანდიის ხალხისა. და მე გთხოვთ თქვენ ერთსულოვნათ დაუჭიროთ მხარი წარმოდგენილ რეზოლიუციას, რომელსაც მე ვიცავ. დარწმუნებული ვერ, რომ თქვენ ამ შემთხვევაშიაც არ უღალატებთ თქვენს თავს, არ უღალატებთ თავის სოციალისტურ რწმენას, და ერთხმათ მიიღებთ ამ რეზოლიუციას. (აპლოდისმენტები).

რეზოლიუცია.

ვინაიდან ყოფილი საქართველოს მართველობა გაუქმებულ იქმნა შეიარაღებულ ძალის მიერ, და რადგან საქართველოს ხალხის წარმომადგენლებმა მოგვმართეს თხოვნით, რომ შერეულ კომისიას, შემდგარს დანარჩენი ქვეყნის სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან, დაევალოს გამოარკვიოს საქართველოს ამრჩეველთა თავისუფალი ხმის მიცემის შედეგების მიხედვით, თუ როგორი მართველობის ფორმა სურს უმრავლესობას, კონფერენცია უცხადებს რა ქართველ ხალხს თავის თანაგრძნობას, გამოსთქვამს რწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშვალება სამხედრო ძალდატანების გარეშე, თავისუფლათ აირჩიოს ფორმა მართველობის, რომელიც მას სასურველათ მიაჩნიათ.

ამიტომ იგი მხარს უჭერს წინადადებას იმის შესახებ, რომ მოხდეს აღნიშნული ხმის მიცემა შერეული კომისიის კონტროლის ქვეშ, ან რაიმე სხვა წესით, რომელიც მიზანშეწონილათ იქნება ცნობილი.

(რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად. დამსწრე კომუნისტებმაც მას ხმა მისცეს).

ერთა ლიგის საზოგადოებათა ძესუთე კონგრესი ჟენევაში.

(6—9 ივნისამდე 1921 წ.)

ამ კონგრესზე საქართველოს საზოგადოებისაგან იყვენ კ. საბახტარიშვილი და სიმ. მდივანი, რომელთაც წარუდგინეს კონგრესს დასაბუთებული მოხსენება საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. კონგრესი დიდის სიმპატიით მოეპყრა საქართველოს საკითხს და დასვა ის თავის დღის წესრიგში.

მომხსენებლად საქართველოს შესახებ გამოვიდა ინგლისის საზოგადოების წარმომადგენელი, ცნობილი ინგლისელი ქალი **ლედი გლადსტონი,** რომელმაც თავის მშვენიერ სიტყვაში სასტიკად დაჰგმო მოსკოვის იმპერიალისტთა მიერ სრულიად უმიზეზოდ საქართველოს დაპყრობა და წარუდგინა კონგრესს შესაფერი რეზოლიუცია მისაღებად.

საფრანგეთის საზოგადოების წარმომადგენელმა **პროფ. ოლარმა** (ისტორიკოსი) მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო,—ეს დემოკრატიულად მოწყობილი ერი,—დაიპყრო და უკავია უცხოელ ჯარს ქართველი ხალხის აშკარა სურვილის წინააღმდეგო.

მგრძნობიარე და საქართველოს მიმართ სიმპატიით და ქება-დიდებით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ინგლისელ საზოგადოების წარმომადგენელმა, ქართველი ხალხის მიერ კარგად ცნობილმა **ტომას შოუმ.** მისი სიტყვა მთელმა კონგრესმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

რუსის საზოგადოების წარმომადგენელმა ბრიანჩანინოვმა (ცნობილი რუსის შავრაზმელია) მოითხოვა რეზოლიუციის ტექსტში სიტყვები „უცხოელ ჯარმა დაიპყროს“...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიერ შეტანა „ბოლშევიკებმა დაიპყრო“.. ბრიანჩანინოვის აზრი აშკარა იყო, მას სურდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ საქართველო რუსეთს, ე. ი. უცხოელ ჯარს არ დაუპყრია.

ეს შესწორება კონგრესმა უკუაგდო, რადგან კარგათ მიუხვდა ბ-ნ ბრიანჩანინოვის სურვილებს.

კონგრესმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კონგრესი, აღელვებული საქართველოს ამ დემოკრატიულად მოწყობილ ერის უბედურ მდგომარეობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი უცხოელმა ჯარმა დაიპყრო და უპირავს მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ და რომ მან ამნაირად დაჰკარგა თავის დამოუკიდებლობა და თავისუფლებანი, გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ამის გამო და დაბეჯითებით მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოსა და საერთო ყრილობისაგან მიღებულ იქნას ზომები, რათა პრინციპი ხალხთა თვითგამორკვევის უფლებისა განხორციელებულ იქნას საქართველოს მიმართ“.

აჭარა.

(საკ. კორესპ).

როგორც ვიცით, აჭარას საქ. რევკომმა (ფ. მახარაძის დეპეშით) აღუთქვა ფართე ავტონომია და მოულოცა მენშევიკების ბატონობისგან განთავისუფლება.

მეჯლისის წევრები ამ დაპირებამ აღტაცებაში მოიყვანა. ზოგი მათგანი ძველი მთავრობის დაგმობასაც შეუდგა და ახალის ქებას. მეჯლისს ბათომის რევკომმა მისცა 15 მილიონი, რამაც კიდევ უფრო მოალბო მათი გული. მამედ ბეგმა ინტერვიუც კი მისცა კომუნისტურ გაზეთს, სადაც ქება-დიდებით მოიხსენია საბჭოთა მთავრობა და გაკიცხა მენშევიკების მმართველობა.

მეჯლისი შეუდგა მუშაობას და მიღებული მილიონების განაწილებას. მაგრამ მალე მათ სიხარულს ბინდი გადაეფარა. ბოლშევიკებს მამედ ბეგი და მისი მეჯლისი მხოლოდ დროებით სჭიროდათ. ფაქტიურათ კომუნისტები შეუდგენ საკუთარ აგიტაციას ოლქში, რომ კომუნიზმისთვის გავლენა მოეპოვებიათ და კომუნისტური მეჯლისი შეექმნათ.

რევკომის წევრები ოსმალო კომუნისტების თანხლებით დადიოდენ ოლქში, მართავდენ კრებებს, მიტინგებს, აარსებდენ რევკომებს, და უხსნიდენ ხალხს კომუნიზმის მოძღვრებას.

რევკომმა საიდუმლოთ დაადგინა უეცარი არჩევნების მოხდენა. და მთელი მეჯლისის ასე ჩამოშორება.

აქ ასპარეზზე გამოვიდა სედაი მილეთლები. მათ გამოაცხადეს თავის თავი კომუნისტებათ და ბოლშევიკების ფულით შეუდგენ თავის საქმის კეთებას.

მეჯლისის პროტესტი ამის გამო უყურადღებოთ იქნა დატოვებული. მამედ ბეგი დიპლომატიურათ გაისტუმრეს თფილისში საქ. რევკომთან ავტონომიის საკითხებზე მოსალაპარაკებლათ. ამ ხანებში რევკომი შეუდგა არჩევნების მოხდენას ახალი მეჯლისისთვის.

არჩევნები მოახდინეს კიდეც. რასაკვირველია სასაცილო არჩევნები, რომელზედაც ხშირათ რამდენიმე კაცი ესწრებოდა. მაგრამ არჩევნებმა სრულიად მოულოდნელი შედეგები მოუტანა ბოლშევიკებს. არჩეული გამოდგენ ქემალისტები და რუსეთის მომხრენი, რომელთაც სახელმწიფო ენათ აჭარაში თურქული ენა გამოაცხადეს და ზოგან თხოულობდენ კიდეც უშუალო კავშირის გამბას მოსკოვთან და ანგორასთან.

რა იყო მიზეზი ასეთი დამარცხების?

ბოლშევიკებმა თავის მოქმედებით დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგეს გავლენა ყოფილ მეჯლისს, ხოლო კომუნიზმი კი ხალხს ვერ შეასმინეს. ამით ისარგებლეს ქემალის აგენტებმა და თავის აგიტაცია გააჩაღეს ხალხში; რასაც ხელი შეუწყო ოსმალოს ჯარის იქ ყოფნამ. აჭარაში თითქმის ყველგან თურქოფილეგია არჩეული რევკომში. ასე რომ ბოლშევიკები ასაზრდოებენ თავის მკერდზე ანტი ქართველურ, ანტი კომუნისტურ ელემენტებს, აშკარათ ოსმალების მომხრეებს.

თვით აჭარლებმა საქართველოს ორიენტაციის მომხრეებს ყველას „მენშევიკები" დაარქვეს და თუნდაც ის კომუნისტობას ჩემულობდეს, მაინც აძევებენ.

ბოლშევიკებმა ეს თვითონაც კარგათ იციან, მაგრამ მაინც ემორჩილებიან გარემოებას. მოკავშირე ქემალს აბა როგორ აწყენინებენ!

აი როგორ გაუკაფეს მათ გზა ქემალისტურ მეჯლისს.

მამედ ბეგი ისევ თფილისში იყო, როცა შეატყობინეს საქარ. რევკომს ძველი მეჯლისი გადაყენებულია და არჩეულია ახალი კომუნისტურიო. საქ. რევკომმა მაინც დიპლომატობა განაგრძო. მამედ ბეგს დაპირდენ ავტონომიის საკითხის გამორკვევას საბჭოთა კონსტიტუციის მიღებისთანავე და უკან გამოისტუმრეს, თან უთხრეს: თქვენთან ვითანამშრომლებთო. დაიმედებული ჩამოვიდა ძველი პრეზიდიუმი ბათომში. და განიზრახა „სამ. საქ." გამოცემა. მაგრამ ბათომის რევკომისგან უარი მიიღო. თქვენ ვინა ბრძანდებით: ჩვენ ახალი მეჯლისი ავირჩიეთო. თუ წერა გნებავთ „კომუნისტში" სწერეთო.

უშედეგოთ ჩაიარა იმაზე მითითებამაც, რომ თურქულ-რუსული მეჯლისი დიდ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვისო. ბათომის რევკომმა მაინც თავისი არ დაიშალა. მან მოსთხოვა ძველ მეჯლისს ბინის დაცლა და 15 მილიონიდან დარჩენილი თანხის ახალისთვის გადაცემა.

ასეთ მდგომარეობას ძველი მეჯლისი საპროტესტო დეკლარაციით შეხვდა, რომელშიაც აცხადებენ, რომ მეჯლისი სთვლის რა აჭარას საქართველოს განუყოფელ ნაწილათ და თავის თავს მის კანონიერ მეჯლისად, უარყოფს ახალ მეჯლისს, როგორც საქართველოს ერთობის წინააღმდეგს და მის დაუკითხავად არჩეულს. ამიტომ მას არ ჩააბარებს არც ფულს არც ანგარიშს. მეჯლისმა დროებით შვებულებაში გაუშვა თავის წევრები შექმნილ მდგომარეობის გამო და დარწმუნებულია, რომ დადგება დრო მეჯლისის ხელახლა შეკრებისათვის.

ასე დამარხეს ბოლშევიკებმა აჭარის საკითხი საქართველოსათვის.

განხეთქილება რუსეთის კომუნისტებში.

ჩვენ მივიღეთ წერილი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ბალშევიკს და გაგზავნილი იყო საზღვარ-გარეთელი მისი ამხანაგებისათვის. მისი შინაარსი აშკარა ყოფს იმ შინაურ განხეთქილების მოახლოვებას რომელიც ისტორიულათ აუცილებელია რუსეთის კომუნისტური პარტიისათვის.

მოგვყავს იგი სრულად.

ძვირფასო ამხანაგო!

ვიჩქარი გაცნობო, რომ ჩვენ განვიცდით მეტად საშიშ მდგომარეობას. მომხდარის გადმოცემაში მე დავიცავ სრულს ობიექტივობას. მე ვლაპარაკობ იმ სხდომების შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა ამ დღეებში და რომლებიც ჯერ კიდევ არ დათავებულა ამა თუ იმ გარკვეულ შედეგით. ჯერ-ჯერობით მე შემიძლია გაცნობო სამი სხდომის ანგარიში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე და უკანასკნელ სხდომის შესახებ გაცნობებ დამატებით შემდეგი შიკრიკის საშვალებით.

ზედმეტათ მიმაჩნია გაგაფრთხილო, რომ რასაც გწერ, სასტიკ საიდუმლოებას შეადგენს და შეიძლება ეცნობოს მხოლოდ უაღრესათ პასუხისმგებელ ამხანაგებს. აქაც სხდომებს დაესწრენ კომპარტიის მხოლოდ უმაღლესი ხელმძღვანელები და ნარკომის წევრები. სხდომების საგანი იყო ამხ. ლენინის ახალი კურსის განხილვა.

ამხ. ლენინის მოხსენება გაგრძელდა თითქმის $2^1/_2$ საათი; იგი შეიცავს შემდეგ თეზისებს:

1. საერთაშორისო რევოლიუციის იმედი არ გამართლდა; ევროპის დღევანდელი მდგომარეობა ამ მხრივ არავითარ იმედებს არ იძლევა.

2. კომუნისტურ პრინციპების ცხოვრებაში გატარებას და დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელებას ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში უძლეველი დაბრკოლებანი გადაეღობენ; მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მაინც სრულებით შეუძლებელია კომუნისტური რუსეთის არსებობა მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოების კაპიტალისტური წყობილება ჯერ კიდევ ძლიერდება და მაგრდება.

3. ჩვენ მიერ დამყნილმა კომუნიზმმა რუსეთი კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა; ყოველივე, რაც გაკეთებულია ჩვენ მიერ ამ მიმართულებით (სხვა მიმართულება კი ჩვენ არ გვქონია), აუცილებლათ დაინგრევა.

4. როგორ მოვიქცეთ შემდეგში? ძველი გზით სიარული ნიშნავს იმას, რომ ხელი შეუწყო შინაურ აფეთქებას, რომელიც ყოველ წუთშია მოსალოდნელი, და რომელიც არა მარტო დაასამარებს ჩვენს პარტიას სამუდამოთ და შებღალავს კომუნიზმის იდეას, არამედ განაწამებ რუსეთსაც გახვევს ანარქიაში, რომელიც—ვის შეუძლია სთქვას—როდის და რით დათავდება.

5. დასკვნა: ჩვენ დასაღუპავათ განწირული ვართ და დაგვრჩენია მხოლოდ ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ ვიხსნათ რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა მოსალოდნელ ანარქიისაგან, თუნდაც ამისთვის ჩვენ დაგვჭირდეს ყველა პოზიციებიხ დათმობა თვით უჩრედილკის მოწვევაც კი. მართალია,—თუ ჩვენ იძულებული შევიქენით დავნიშნოთ უჩრედილკის არჩევნები, იძულებული ვიქნებით თავისუფალი არჩევნები გამოვაცხადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არავინ არ ირწმუნებს მას და მაშინ საქმე გათავდება მით, რისიც ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს: აფეთქებით და ანარქიით. დე დავამარცხონ ამ არჩევნებში, სხვაფერ არც შეიძლება მოხდეს, მაგრამ სხვა უფრო უმტკივნელი გზა არ არსებობს.

ამ მოხსენებამ სხდომის ერთ ნაწილზე მომაკვდინებელი შთაბეჭდილება მოახდინა, ხოლო მეორე ნაწილი ამხ. ტროცკის მეთაურობით იმ ზომამდე ააშფოთა, რომ ყოველ სიტყვაზე გაისმოდა უხეში გინება ამხ. ლენინის მისამართით. სხდომის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა და კამათი ამხ. კალინინის წინადადებით გადაიდო მეორე დღისთვის.

მეორე სხდომაზე პირველი სიტყვა ამხ. ტროცკიმ წარმოსთქვა. მან სასტიკათ გაილაშქრა ამხ. ლენინის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ ევროპაში სოციალისტური რევოლიუციის საკითხი მომწიფებულია და იგი ამ მოკლე ხანში იფეთქებს, ხოლო ამხ. ლენინს მან უწოდა „სოგლაშატელი“, „სოციალ-პრედატელი“, მუშათა კლასის მოღალატე, მშიშარა და სხვა. ერთი სიტყვით იგი ადგია ძველ გზას და სასტიკათ გმობს ყოველგვარ დათმობას. ამხ. ტროცკის შემდეგ გამოვიდნენ ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხარინი, ზინოვიევი და სხვები—თითქმის ყველა ტროცკის მომხრენი. მეტად მკაცრი იყო ამხ. ტროცკის სიტყვა, მაგრამ არც ზინოვიევი და ბუხარინი ჩამორჩენ მას. როდესაც ოპოზიციამ დაათავა გამოსვლები (სხდომაზე ლენინის მომხრეები უმცირესობას არ შეადგენდენ, მაგრამ არც ერთს სიტყვა არ წარმოუთქვამს), ამხ. ლენინმა, რომელიც ოპოზიციის სიტყვების დროს დამუნჯებული იჯდა და კრინტი არ დაუძრავს, აიღო სიტყვა და განაცხადა:

„ოპოზიციის დღევანდელმა გამოსვლამ მე დამარწმუნა, რომ ამ ოპოზიციასთან მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. უსაფუძლო ფრაზების და ღვარძლიანი გინების მეტი მე აქ ვერა მოვისმინე რა. ასეთ გამოსვლებზე პასუხის გაცემა თავის დამცირებათ მიმაჩნია, ამიტომ სხდომას ვტოვებ და მივდივარ“. ამ განცხადების შემდეგ ამხ. ლენილნმა სხდომა დასტოვა.

ადვილათ წარმოიდგენთ, ამხანაგო, თუ როგორ იმოქმედებდა ლენინის ასეთი მოქცევა; ყველანი შიშმა მოიცა, შეკრთა ამხ. ტროცკიც და სხდომას წინადადება მისცა გაეგზავნათ ამხანაგები ლენინისთვის და ეთხოვათ სხდომაზე დაბრუნება; მანამდე კი სხდომა შეწყდა. საათნახევარზე მეტი ვუცადეთ უნაყოფოთ ამხ. ლენინს, მისი მოყვანა არ მოხერხდა, და ისევ განვაგრძეთ კამათი, მაგრამ უკანასკნელმა მეტად მღელვარე ხასიათი მიიღო. სხდომა დათავდა „სკანდალით“: ერთმა ტროცკის მომხრე ამხანაგმა მეორეს—ლენინისტს სილა გაარტყა.

მეორე დღეს სხდომა ვერ განვაახლეთ, რადგან ამხ. ლენინი კატეგორიულათ უარს ამბობდა კრებაზე მოსულიყო, ხოლო მის დაუსწრებლათ შეკრება ყველას უაზრობათ მიაჩნდა.

დიდი მეცადინეობის და შრომის შემდეგ, მესამე დღეს როგორც იყო დასთანხმდა ამხ. ლენინი მოსულიყო სხდომაზე. სხდომის დაწყებისას ყველა ცდილობდა თავდაჭერილათ ყოფილიყო, მაგრამ ორი-სამი ორატორის გამოსვლის შემდეგ აღელვებამ კვლავ იჩინა თავი. სხდომის მსვლელობამ მეტად არასასურველი ხასიათი მიიღო: ყველას—როგორც ოპოზიციას, ისე მეორე მხარესაც- დაავიწყდათ ამხ. ლენინის მოხსენება და ერთმანეთის ბრალის დადებაზე და შეცდომების მხილებაზე გადავიდენ. დაუსრულებელი რეპლიკები და ადგილიდან თავდაუჭერელი ლაპარაკი ფარავდა ორატორების სიტყვებს: ძნელი იყო იმის გაგება, თუ ვინ რას ლაპარაკობდა. მხოლოდ ერთათ ერთი ამხ. ლენინი იჯდა ჩუმათ თავის ადგილზე, როგორც ქანდაკება, და თავი ისე ეჭირა, რომ თითქო მას არავითარი საქმე არ ქონდა ყოველივე იმასთან, რაც იქ ხდებოდა. დაბოლოს ამხ. თავმჯდომარემ, რაკი დარწმუნდა, რომ წესრიგის აღდგენა შეუძლებელი იყო, განაცხადა, რომ იგი კრებას სწყვეტს 15 წუთით.

სწორეთ ამ დროს წამოდგა ამხ. ლენინი და სიტყვა ითხოვა განცხადებისათვის; ყველანი დაწყნარდენ და სმენათ გადაიქცენ. მან შემდეგი განაცხადა: „დღევანდელმა სხდომამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ზოგიერთ ვაჟბატონებთან მუშაობა მე სრულებით არ შემიძლია. ამიტომ კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ მე მუშაობას თავს ვანებებ, როგორც პარტიაში, ისე მთავრობაშიაც მანამდე, სანამ თავიანთ ადგილზე დარჩებიან ტროცკი, ბუხარინი და ზინოვიევი“.

ამხ. ლენინმა ამ განცხადების შემდეგ სხდომა დასტოვა. დაიწყო აურზაური და გინება: აგინებდენ ამხ. ლენინს, აგინებდენ ერთმანეთს; თავმჯდომარემ სხვა გზა ვერ გამონახა და სხდომა დახურა.

მდგომარეობა, თქვენც დამითანხმებით, მეტად მძიმეა. რას მოგვიტანს შემდეგი სხდომა, არ ვიცი, მაინცა და მაინც კარგს არას უნდა მოველოდეთ.

ამხანაგური სალამით **ანც—ჩ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ამბები.

წერილიდან. ერთმა ამხანაგმა მიიღო წერილი საქართველოდან, რომელიც დაწერილია მაისის 14-ს. აი ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდან: „მაღაზიები სულ დაცალიერდა. მიუხედავათ დაპირებისა, ვაჭრობა აქ ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად პირველ მაისს, რუსის ჯარს და მოსამსახურეებს ვაჭრების ხარჯზე გაუმასპინძლდენ. ჩამოართვეს მათ სასმელები და სხვა, რასაკვირველია უფასოთ და დაურიგეს მოსამსახურეებს მცირე ფასათ. ერთ ვაჭარს 18,000 ბოთლი პორტვეინი წაართვეს, მეორეს 30,000 ბოთლი ღვინო და ასე.

— **დაიწყო „უჩოტები“** ოჯახებშიაც, (მაღაზიები ხომ ადრეევ ასწერეს) სწერენ ინსტრუმენტებს, საწერ და საკერავ მაშინებს, სამოვრებს, ახლა ამბობენ დაიწყება აღწერა დანა-ჩანგლების, თეთრეულის, ფეხსაცმელების და სხვ. აკრძალეს ავეჯეულობის ერთი ბინიდან მეორეში გადატანა. ოკა ბინას რეკვიზიციას გაუკეთებენ, ავეჯი იქვე უნდა დარჩეს. სხვა და სხვა ჯარის ნაწილებს აქედან წასვლის დროთან მიაქვთ ავეჯეულობა. ახალ მოსული ჯარები კი მოწყობილ ბინებს ეძებენ და იწუნებენ წასული ჯარების ბინებს. ასე რომ მოკლე ხანში წავა რუსეთში დიდძალი ავეჯეულობა“.

— „ბოლშევიკები ყოველი ღონისძიებით ცდილობენ **მოსამსახურეების** გულის მოგებას, მაგრამ მათი ზომები სასაცილოა, რადგან ყველამ იცის, რომ ეს დროებითია. მაგ. მოსამსახურეებს უფულოთ უშვებენ აბანოში. ეძლევათ აგრეთვე უფასო სადილები წანართმევ სანოვაგისაგან და უფასო პროექტორი, უფასო ბინა ბინის პატრონის ხარჯზე. მაგრამ სადილები უკვე ილევა, მაგალითად ქუთაისში სულ ვედარ არიგებენ. თფილისში გუშინწინ მჭადის ერთი მეოთხედი გირვ. მიუციათ. აბანოებში შეშა გამოილია, ილიუზიონებში სურათები“.

„**სანოვაგე** თანდათან ქრება ქალაქებში, სოფლად ფული აღარ გადის. ვერაფერს ვერ იყიდი, თუ სამაგიერო საქონელი არ მიუტანე. ქალაქები ამის გამო იცლება. 25%-ზე მეტი უკვე წასულია სოფლად. კომუნისტების სიტყვით ამას განგებ შვრებიან მენშევიკები, რომელთაც სურთ სოფლის აჯანყებაო. ამიტომ იჭერენ ბევრს ქალაქიდან სოფელში ჩამოსულს. საშინელი შიმშილობა იწყება“...

„**ქართული ჯარის** შედგენა ძნელდება; რადგანაც კომუნისტებს, როგორც სჩანს არც სურთ ქართული შეიარაღებული ძალის ყოლა საქართველოში. ხალხი მათ არ ენდობა და იგინი ხალხს“.

ხოლერა. როგორც გადმოგვცემენ რუსეთის საშინელი ხოლერა თფილისსაც სწვევია. უკვე მრავალი შემთხვევა იყო ხოლერის გაჩენის, უმთავრესათ ჩამოსულებში. რევკომი ფუცფუცობს, მარა არავითარი რეალური ზომის მიღება არ შეუძლია.

პოლიტიკური პარტიებიდან თითქმის ყველა, გარდა ღლონტის მცირედი ჯგუფისა, ერთხმათ გმობს ბოლშევიკების საშინელ რეჟიმს, რომელმაც ფიზიკურ განადგურებასთან და საშინელ შიმშილთან ერთათ უსაზღვრო აუტანელი მორალური ტანჯვა მიაყენა ხალხს.

ინტელიგენციის მდგომარეობა ქალაქებში აუტანელია. ვინც მსახურობს შიმშილით კვდება, ვინც არ მსახურებს კიდევ უარეს მდგომარეობაშია. ადგილი ქონდა თვითმკვლელობასაც კი შიმშილობის ნიადაგზე.